



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #5

2016 წლის 11 მარტი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ. ჭოპორტში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.64.70.294) პირველ სართულზე, 17კვ.მ ფართის სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით ი/მ ირაკლი გორგაძეზე გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფ. ჭოპორტში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.64.70.294) პირველ სართულზე 17კვ.მ ფართი სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს ი/მ ირაკლი გორგაძეს 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარად წელიწადში.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი